

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„შპს ორისი ”

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2019

შინაარსი

გვერდი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8-14

შპს „ორისი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	4	1,840,066	1,622,897
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	4	(34,508)	(43,166)
საერთო მოგება		1,805,558	1,579,731
დასაქმებულთა ანაზღაურება		(672,649)	(659,739)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(130,703)	(99,996)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		112,914	44,439
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(102,344)	(30,143)
მოგება დაბეგვრამდე		1,012,776	834,291
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		1,012,776	834,291
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		1,012,776	834,291

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 21 სექტემბერს

შპს „ორისი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	4,773,931	4,152,122	5,069,765
სავაჭრო მოთხოვნები	9	54,286	41,417	34,417
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		26,026	29,798	7,880
მზა პროდუქცია	8	71,848	37,340	36,795
სხვა მიმდინარე აქტივები		56,380	51,484	60,658
სულ მიმდინარე აქტივები		4,982,470	4,312,162	5,209,515
ძირითადი საშუალებები	7	1,348,494	1,427,741	1,459,547
სხვა არამატერიალური აქტივები		49,529	48,774	43,739
სხვა გრძელვადიანი აქტივები		18,528	19,007	20,007
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,416,551	1,495,522	1,523,293
სულ აქტივები		6,399,021	5,807,684	6,732,807
კაპიტალი და ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		23,501	21,711	3,567
მიღებული ავანსები		17,764	19,940	8,026
სულ ვალდებულებები		41,265	41,651	11,593
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	11	1,285	1,285	1,285
გაუნაწილებელი მოგება		6,350,516	5,758,793	6,713,975
გადაფასების რეზერვი		5,955	5,955	5,955
სულ კაპიტალი		6,357,756	5,766,032	6,721,215
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,399,021	5,807,684	6,732,807

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 21 სექტემბერს

შპს „ორისი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	საკუთარი კაპიტალი
1 იანვარი 2018	1,285	5,955	6,713,975	6,721,215
წმინდა მოგება			834,291	834,291
გაცემული დივიდენდი			(1,789,474)	(1,789,474)
31 დეკემბერი 2018	1,285	5,955	5,758,793	5,766,033
წმინდა მოგება			1,012,776	1,012,776
გაცემული დივიდენდი			(421,053)	(421,053)
31 დეკემბერი 2019	1,285	5,955	6,350,516	6,357,756

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 21 სექტემბერს

შპს „ორისი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით
 დასრულებული წლისათვის**

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2019	2018
წლის მოგება	1,012,776	834,291
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	42,122	37,586
საკურსო სხვაობა	14,456	2,769
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე	1,069,354	874,646
ცვლილება მარაგებში	(34,508)	(546)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	(8,618)	(7,000)
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	(386)	18,145
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული ფულადი სახსრები	1,025,842	885,245
გადახდილი პროცენტი	-	-
მიღებული პროცენტი	-	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	1,025,842	885,245
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/გასვლა	79,247	(12,888)
არამატერიალური აქტივების შეძენა/გასვლა	(755)	(7,107)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	78,492	(19,995)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(421,053)	(1,788,474)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(421,053)	(1,788,474)
ცვლილება ფულის და ფულის ექვივალენტებში	683,282	(923,223)
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	4,152,122	5,069,765
უცხოური ვალუტის ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში	(61,473)	5,580
ფული 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,773,931	4,152,122

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 21 სექტემბერს

შპს „ორისი“
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ორისი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 1995 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი - 206033754, იურიდიული და ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 12 ბ. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კომპანიებისთვის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება და კომპლექსური მომსახურება. კომპანიის დამფუძნებლები არიან: დავით და გიორგი გოთოშია, თითოეული 50%-50%-ის წილის ფლობით. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 25 და 25 თანამშრომელი.

2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს-ს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

31 დეკემბრის 2017 წლამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდებიდან და აღწერილია წინამდებარე ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი.

ფინანსური ინსტრუმენტები

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

შპს „ორისი“
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით

(ა) შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

(ბ) შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესრულებული ოპერაციის შესრულების სტადიის მიხედვით, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოსალოდნელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა ერთეულში;
- შესაძლებელია მომსახურების გაწევის ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო თარიღისთვის;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისთვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

(გ) შემოსავალი იჯარებიდან

შემოსავლები იჯარიდან წარმოადგენს მოძრავი ქონების გაქირავებით მიღებულ შემოსავლებს.

(დ) საოპერაციო ხარჯები

თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

შპს „ორისი“
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

იჯარები

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მეიჯარიდან მოიჯარესთვის. საიჯარო გადასახდელები აღიარდება პერიოდის ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა, რომელიც გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. მოიჯარის მიერ იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებისთვის მეიჯარისთვის განხორციელებული გადახდები, გარდა ცვლადი საიჯარო გადახდებისა.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2,86	3.20
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

შპს „ორისი“
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივებზე, მოხმარებული ნაწილის ღირებულების შემცირებით, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. შენობებზე გამოიყენება წლიური 5%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 8%-დან 20%-მდე, ხოლო საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 14%-დან 50%-მდე განაკვეთი.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა.

3. მნიშვნელოვანი შეფასებები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, შემოსავლის აღიარება, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

შპს „ორისი“
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,840,066	1,622,897
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	(34,508)	(43,166)
სულ	1,805,558	1,579,731
5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		

	2019	2018
ცვეთის ხარჯი	38,649	39,658
საერთო-სამეურნეო ხარჯები	26,613	28,670
კომუნალური ხარჯები	13,184	14,222
მარაგების ხარჯი	11,811	-
სოციალური დანარიცხები	11,607	-
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	10,133	7,008
საკონსულტაციო ხარჯები	12,237	-
სხვა საერთო ხარჯი	6,467	10,438
სულ	130,703	99,996

6 მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯმა 2019 წლის განმავლობაში შეადგინა 0 ლარი (2018: 0 ლარი), ხოლო მთლიანად განაწილებული დივიდენდების თანხამ - 421,053 ლარი (2018: 1,789,474 ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

შპს „ორისი“

ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

7 ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნა	ელექტრო გადაცემის კავშირ მოწყობილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01.01.2018	1,164,744	8,210	136,607	189,049	179,875	1,678,485
შემოსვლა	-	696	5,140	-	-	5,836
გასვლა	-	-	(95)	-	-	(95)
31.12.2018	1,164,744	8,906	141,652	189,049	179,875	1,684,226
შემოსვლა	-	249	29,112	163	-	29,524
გასვლა	-	-	(11,880)	-	(71,497)	(83,377)
31.12.2019	1,164,744	9,155	158,884	189,212	108,378	1,630,373
აკუმულირებული ცვეთა						
31.12.2017	(82,123)	(4,280)	(52,578)	(51,749)	(28,208)	(218,938)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	40	-	-	40
ცვეთის ხარჯი	(11,876)	(672)	(9,035)	(8,087)	(7,916)	(37,586)
31.12.2018	(93,999)	(4,952)	(61,573)	(59,836)	(36,124)	(256,484)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	6,770	-	9,957	16,727
ცვეთის ხარჯი	(11,876)	(368)	(15,491)	(8,096)	(6290)	(42,122)
31.12.2019	(105,857)	(5,320)	(70,294)	(67,932)	(32,457)	(218,879)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31.12.2017	1,082,621	4,626	89,074	137,300	151,667	1,465,288
31.12.2018	1,070,745	3,954	80,079	129,213	143,751	1,427,741
31.12.2019	1,058,869	3,835	88,590	121,280	75,921	1,348,494

შპს „ორისი“
 ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

8. მარაგები

	2019	2018
საქონელი	1,490	1,490
პროგრამული უზრუნველყოფა	69,276	34,901
დაუმთავრებელი წარმოება	1,082	950
სულ	71,848	37,340

მარაგები ძირითადად მოიცავს პროგრამას და მის გასაღებებს, რომლებიც რეალიზაციისთვისაა განკუთვნილი.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	54,286	41,417
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	18,528	19,007
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	26,026	29,798
სულ	98,839	90,222

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფული საღაროში	11,539	12,275
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,495,952	3,856,142
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	266,439	283,705
სულ	4,773,931	4,152,122

კომპანიას ნაწილი ფულადი სახსრები განთავსებული აქვს ბანკში, მოთხოვნამდე დეპოზიტს ერიცხება წლიური 2%-7% წლის შემოსავალმა შეადგინა 9,484 ლარი.

11. სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენს 1,285 ლარს. 2019 წელს გაიცა დივიდენდი 421,053 ლარის ოდენობით, 2018 წელს 1,789,474 ლარი.

12. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დამფუძნებლები არიან: დავით და გიორგი გოთოშია, თითოეული 50%-50%-ის წილის ფლობით. კომპანიას სხვა არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არ განუხორციელებია

13. პირობითი ვალდებულებები

მიმდინარე წელს კომპანიას არ ჰქონია პირობითი ვალდებულებები.

შპს „ორისი“

ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

14 ფასს მსს-ის პირველადი გამოყენება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მისი პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად. კომპანიის ფასს მსს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის პირველი იანვარი და ფინანსური ანგარიშგება ფასს მსს-ს შესაბამისად მომზადდა აღნიშნული თარიღისთვის.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს მსს-ზე გადასვლის შედეგად კომპანიის ფინანსურ აგარიშგებაში მატერიალური კორექტირებები არ განხორციელებულა.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

გვსურს თქვენი ყურადღება მივმართოთ მიმდინარე კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკური აქტივობის შენელებასა და მის პოტენციურ ეფექტებზე კომპანიის სამომავლო საქმიანობაზე.

კორონავირუსმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მრავალი ადამიანის სიცოცხლეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამოიწვია ლოჯისტიკური ჯაჭვებისა და როგორც შიდა, აგრეთვე საგარეო მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება, ამასთანავე ამ მოვლენამ გაზარდა სამომავლო რისკის განუზღვრელობის და მისი არიდების/შემცირების ტენდენციები. პანდემიასთან დაკავშირებული, არსებული, ადგლობრივი და გლობალური მოვლენების მიხედვით გავითვალისწინეთ სამომავლო რისკები ორგანიზაციისათვის. მენეჯმენტის შეფასებით პანდემიის ფონზე კომპანიას არ შექმნა ფუნქციონირებადობის პრობლემები და განაგრძობს ფუნქციონირებას.